

შეზღუდული პასუხისმგებლობის

საზოგადოება

„სავაჭრო სახლი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შპს „სავაჭრო სახლი“

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	9,993,202	10,219,707
არამატერიალური აქტივები	10		
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,993,202	10,219,707
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	11	10,740	13,102
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	489,202	399,112
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	13	281,887	333,473
წინასწარ გადახდილი გადასახადები		173,834	180,242
სხვა მიმდინარე აქტივები			
სულ მიმდინარე აქტივები		955,664	925,930
სულ აქტივები:		10,948,866	11,145,637
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		3,351,899	3,351,899
გაუნაწილებელი მოგება - ზარალი		-72,160	-86,790
სულ საკუთარი კაპიტალი		3,279,739	3,265,109
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები	14	7,520,567	7,709,984
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		7,520,567	7,709,984
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	78,964	112,775
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ		1,218	1,218
საგადასახდო ვალდებულება			
დარიცხული ხარჯები და სხვა გადავადებული შემოსავალი			
დარიცხული სასესხო ვალდებულებები	15	68,377	56,550
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		148,560	170,544
სულ ვალდებულება:		7,669,127	7,880,528
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		10,948,866	11,145,637

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

მარინე ლორია

ირმა მარცვალაძე

28.09.2020

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
ამონაგები	5	2,441,580	2,032,750
გაცივებული საქონლის თვითღირებულება		2,362	18,661
საერთო მოგება		2,439,218	2,014,089
სხვა შემოსავლები	6		
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები		-89,412	-56,831
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		-240,968	-234,612
სხვა ხარჯები	7	-750,358	-491,252
ფინანსური ხარჯები/შემოსავალი	8	-556,480	-249,981
საპროცენტო ხარჯი		-787,370	-771,932
მოგება დაბეგვრამდე		14,630	209,481
მოგების გადასახადი			
სრული შემოსავლის მთლიანი თანხა		14,630	209,481
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში			
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		14,630	209,481

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

თარიღი: 28,09,2020

მარინე ლორია

ირმა მარცვალაძე


საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ
<u>31.12.2017 წაშთი</u>	<u>3,346,898.98</u>	<u>-296,271.07</u>	<u>3,050,627.91</u>
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	5,000.00	-	5,000.00
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება	-	209,480.73	209,480.73
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	-	0.00
<u>31.12.2018 წაშთი</u>	<u>3,351,898.98</u>	<u>-86,790.34</u>	<u>3,265,108.64</u>
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	0.00
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება	-	14,630.05	14,630.05
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	-	0.00
<u>31.12.2019 წაშთი</u>	<u>3,351,898.98</u>	<u>-72,160.29</u>	<u>3,279,738.69</u>

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



მარინე ლორია

ირმა მარცვალაძე

თარიღი: 28,09,2020

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

31.12.2019

31.12.2018

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან
მიღებული ფულადი სახსრები
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის
გადახდილი ფულადი სახსრები
დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი
ფულადი სახსრები
დაბრუნებული გადასახადი
გადახდილი გადასახადები

წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი
სახსრები

საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი
სახსრები

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან
სესხების შედეგად საწარმოში შემოსული ფულადი სახსრები
ნასესხები სახსრების დასაფარად გადახდილი ფულადი
სახსრები;
უცხოური ვალუტის გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილი
შემოსულობა ან ზარალი
დამფუძნებლის მიერ კაპიტალში თანხის შემოტანა
დამფუძნებლის მიერ კაპიტალიდან თანხის გატანა

საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი
სახსრები

ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების
წმინდა ზრდა (შემცირება)


ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები
წლის დასაწყისისთვის

ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები
წლის ბოლოსთვის

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

თარიღი: 28,09,2020



მარინე ლორია

ირმა მარცვალაძე

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სავაჭრო სახლი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 405126091) შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ (რეგისტრაციის ნომერი B18080746). საწარმოს იურიდიული მისამართი არის საქართველო, ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქ.#12. საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქ.თბილისი, სულხან ცინცაძის ქ.#12.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა საკუთარი არასაცხოვრებელი ფართის გაქირავება და მართვა. საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2019 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოდგენილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის პირველი იანვარი.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2 სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

3.3 სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3.4 სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.5 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება მოგება- ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

3.6 მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოვლენული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

3.7 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

3.8 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლილი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა

3.9 მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო

თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვლათა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

5 ამონაგები	31.12.209	31.12.2018
შემოსავალი სავაჭრო სახლის იჯარიდნა	2,441,579.66	2,029,970.55
შემოსავალი მასალის რეალიზაცია		2,779.99
პირგასამტეხლოდან შემოსავალი		
	2,441,579.66	2,032,750.54

კომპანიის ამონაგებს საანგარიშგებო პერიოდში წარმოადგენს საიჯარო მომსახურებიდან და სამშენებლო მასალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები.

7 სხვა ხარჯი	31.12.209	31.12.2018
მშენებლობის მომსახურების ხარჯი	0.00	-9,486.52
კომუნალური მომსახურება	0.00	-88,681.25
კომუნიკაციის ხარჯი	-81,785.85	-336.58
სამეურნეო მომსახურება	-167,146.07	-110,536.73
დაცვის მომსახურება	0.00	-30,508.44
რეკლამის ხარჯი	-13,761.45	-9,637.15
მიწოდების სხვა ხარჯი	0.00	
იურდიული მომსახურება	-60.00	-200
სხვა საერთო ხარჯი	-203.14	-1,327.44
ბანკის მომსახურება	-524.57	-262.81
მომწოდებელის ჯარიმა-საურავი	0.00	
ქონების გადასახადი	-101,064.55	-103,115.44
მიწის გადასახადი	-273.33	-273.33
ხარჯის კაპიტალიზაცია	0.00	18,550.33
დაზღვევა	-20,964.80	-5,436.78
სხვა მიმდინარე ხარჯი	-364,574.27	-150,000.00
	-750,358.03	-491,252.14

8 ფინანსური ხარჯები/შემოსავალი	31.12.209	31.12.2018
დადებითი საკურსო სხვაობა		
უარყოფითი საკურსო სხვაობა	-556,480	-249,981
	-556,479.53	-249,980.51

9 ძირითადი საშუალებები	31.12.2019	31.12.2018
შემოზა-ნაგებობა	9,805,986.21	9,996,783.87
დიზელ-გენერატორი	124,436.89	136,288.03
სამშენებლო ინვენტარი	35,990.09	53,985.15
ავეჯი და სხვა ინვენტარი	4,351.71	2,574.53
ოფისის აღჭურვილობა		1,940.72
სხვა ძირითადი საშუალება	22,437.38	28,135.01
	9,993,202.28	10,219,707.31

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე; ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან; აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

11 მარაგი	31.12.2019	31.12.2018
ნედლეული და მასალა	10,740	13,102
	10,740	13,102

12 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2019	31.12.2018
მოთხოვნა მიწოდებიდან და მომსახურებიდან	464,084	399,112
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	24,374	
მოთხოვნა საწარმოს ოერსონალის მიმართ	744.95	0.3
	489,202.44	399,112.34

13 ფულადი სახსრები და ეკვივალენტები	31.12.2019	31.12.2018
ნაღდი ფული სალაროში	1,179.01	2,704.01
ფული საბანკო ანგარიშზე	280,707.88	330,769.00
	281,886.89	333,473.01

ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოურ ვალუტაში წლის ბოლოს არსებული ნაშთი გადაანგარიშებულია შესაბამისი ეროვნული ბანკის კურსით.

14 სასესხო ვალდებულებები	31.12.2019	31.12.2018
--------------------------	------------	------------

სს„თიბისი ბანკი“-ს სასესხო ვალდებულებები აშშ დოლარში	\$2,622,508.42	\$2,880,514.20
კურსი წლის ბოლოს	2.8677	2.6766
სს„თიბისი ბანკი“-ს სასესხო ვალდებულებები ექვ ლარში	7,520,567	7,709,984
15 დარიცხული სასესხო ვალდებულებები	31.12.2019	31.12.2018
სს„თიბისი ბანკი“-ს სასესხო ვალდებულებებზე გადასახდელი პროცენტი აშშ დოლარში	\$23,843.91	\$21,127.66
კურსი წლის ბოლოს	2.8677	2.6766
სს„თიბისი ბანკი“-ს სასესხო ვალდებულებებზე გადასახდელი პროცენტი ექვ ლარში	68,377	56,550
16 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.2019	31.12.2018
მოწ.და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულება	46,421.56	81,063.31
მიღებული ავანსები	32,542.67	31,711.96
	78,964.23	112,775.27

17. მსს ფასს -ზე გადასვლა

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულია მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღიდან. საწარმოს წინა პერიოდებში საერთოდ არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება. შესაბამისად, მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად არ წარმოქმნილა კორექტირების აუცილებლობა.


18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 15 აგვისტოს.

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

თარიღი: 29.9.2020



მარინე ლორია

ირმა მარცვალაძე